



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და  
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური  
ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №39  
დეკემბერი, 2022

თბილისი, 2023

**ხელმძღვანელი:**

ნანუკა ყრუაშვილი

**ავტორი:**

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2022 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

## 1. ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები

ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების მიზნით რამდენიმე საკითხზე გაგრძელდა მუშაობა.

### 1.1. საარჩევნო კოდექსში ცვლილებები

22 დეკემბერს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო.<sup>1</sup> შედეგად, 2024 წლიდან საქართველო არჩევნებზე ელექტრონულ ტექნოლოგიებს გამოიყენებს, რაც საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და იდენტიფიცირებას, ხმების დათვლასა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურების გაციფრულებას გულისხმობს. ამასთანავე, იმ უბნებზე, სადაც ელექტრონული მარეგისტრირებელი და მთვლელი აპარატურა არ იქნება, ხმების ამსახველი ბიულეტენები სრულად გაციფრულებულ და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აიტვირთება.<sup>2</sup> გარდა ამისა, კანონი აზუსტებს, ნერგავს ან ახლებურად აყალიბებს ცალკეულ პროცედურებს, როგორებიცაა: გასაჩივრების ვადები, საარჩევნო კომისიის წევრად დანიშვნისა და ადგილობრივ დამკვირვებლად პირის რეგისტრაციის შემზღვეველი გარემოებები, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირება, არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის წესი, გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას მარკირების რეგულირება და სხვა.<sup>3</sup>

საიამ ინიციატივათა პაკეტის განხილვამდე იურიდიულ კომიტეტს პროექტის შეფასება გაუგზავნა<sup>4</sup> და დადებითად შეაფასა არაერთი ცვლილება, რომლებიც ზრდის და აკონკრეტებს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უბნების გადათვლის კრიტერიუმებს, ცვლის საარჩევნო დავების წარმოების ვადებს და ასახავს ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის ზოგიერთ რეკომენდაციას. **ამასთანავე, ორგანიზაციამ მიუთითა, რომ პროექტი სრულად ვერ აუმჯობესებდა ქვეყანაში საარჩევნო გარემოს და ვერ წყვეტდა, მაგალითად, ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ამომრჩევლის ნების კონტროლი და საარჩევნო დავე-**

<sup>1</sup> „პარლამენტმა „საქართველოს საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონებში შესატანი ცვლილებები მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2022 წლის 22 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CKikWW>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>2</sup> „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Omutq1>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>3</sup> „საიას მოსაზრებები საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Ex8uZP>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>4</sup> იქვე.

## ბის სამართლიანად გადაწყვეტა.<sup>5</sup>

პირველი მოსმენის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს („ეუთო/ოდირი“), ასევე ევროპის კომისიას დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე დაჩქარებული მოსაზრების მომზადების თხოვნით მიმართა.<sup>6</sup> პროექტზე ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრებით საარჩევნო ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს ევროკავშირის რეკომენდაციებს რეფორმასთან დაკავშირებით, არ ეფუძნება საარჩევნო კოდექსის ყოვლისმომცველ ანალიზს და შეეხება მხოლოდ შერჩეულ საკითხებს.<sup>7</sup>

სამოქალაქო სექტორისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები პარლამენტმა კანონპროექტის მოსმენებს შორის პერიოდში გარკვეულწილად გაითვალისწინა. ამის მიუხედავად, არაერთი წინადადება რეაგირების მიღმა დარჩა. **საიას მოსაზრებით, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას სჭირდება ყოვლისმომცველი და ინკლუზიური რეფორმა. პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას და არასათანადოდ ითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.**

### 1.2. ევროკომისიის 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

30 ნოემბერს პარლამენტმა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი თანმდევ კანონპროექტებთან ერთად მიიღო.<sup>8</sup> ცვლილების თანახმად, რომელიც ევროკავშირის მიერ გაცემული 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებისთვის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა,<sup>9</sup> სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება ფართოვდება.<sup>10</sup>

22 დეკემბერს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი ვერ აირჩია.<sup>11</sup> კენჭი უყარეს 19 კანდიდატს, თუმცა მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა.<sup>12</sup> საჭირო 90 ხმა ვერცერთმა მათგანმა ვერ მოაგროვა.<sup>13</sup>

გასულ წელს, საშემოდგომო სესიაზე, პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები არ აირჩია. გაჭიანურებული პროცესი ისევ გადაიდო. პარლამენტისთვის 5 წევრის ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსზე 32 განაცხადია წარდგენილი.<sup>14</sup>

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> „შალვა პაპუაშვილი ვენეციის კომისიას და ეუთო/ოდირს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე მოსაზრების მომზადებას სთხოვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 31 ოქტომბერი, <https://civil.ge/ka/archives/511177>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>7</sup> ევროპის კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობითა (ვენეციის კომისია) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს (ეუთო/ოდირი) ერთობლივი მოსაზრების პროექტი საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის ცვლილების პროექტსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილების პროექტის შესახებ, მე-10, 27-ე და 28-ე პარაგრაფები.

<sup>8</sup> „პარლამენტმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებები დაამტკიცა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 2 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/517386>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> „პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი ვერ აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 22 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/519715>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატები, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 20.10.2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XBZj1c>, განახლებულია: 08.01.2023.

## 2. ცესკოს დაკომპლექტება

საქართველოს პარლამენტმა 22 დეკემბერს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარე და 2 წევრი ვერ აირჩია.<sup>15</sup> ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების 5-წლიანი ვადით ასარჩევად დეპუტატების სრული შემადგენლობის 2/3 – 100 ხმა იყო საჭირო. იმ შემთხვევაში კი, თუკი ისინი 76 დეპუტატის ხმას მიიღებდნენ, თანამდებობას მხოლოდ 6 თვის ვადით დაიკავებდნენ.<sup>16</sup> საქართველოს პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარისა და ორი წევრის შესარჩევად კონკურსი 13 ივლისს გამოაცხადა.<sup>17</sup> ცესკოს თავმჯდომარეობის სურვილი, ჯამში, 5-მა პრეტენდენტმა გამოხატა, წევრობის კი – 10-მა.<sup>18</sup> საკონკურსო კომისიამ პრეზიდენტს თავმჯდომარის პოსტზე 5-იდან 3-ის კანდიდატურა წარუდგინა. მათ შორის იყო ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილიც, რომელიც კონკურსში უკვე მესამედ მონაწილეობდა, თუმცა სალომე ზურაბიშვილმა მისი კანდიდატურა აღარ აარჩია.<sup>19</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტმა 22 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე ცესკოს თავმჯდომარე და ორი წევრი ვერ აირჩია, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოს ამ თანამდებობებზე ახალი კანდიდატურები გაუგზავნა.<sup>20</sup>

სალომე ზურაბიშვილს პარლამენტისთვის კანდიდატები ცესკოს წევრობის ორი ვაკანტური პოსტისთვის უნდა წარედგინა. თუმცა, ვინაიდან, რეგლამენტის თანახმად, მას კანდიდატები უკვე ჩატარებული კონკურსიდან უნდა შეეჩრია, ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც წინა ხელახალ კონკურსში სულ 3 კანდიდატი მონაწილეობდა. მათგან ორს კი საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.<sup>21</sup> პრეზიდენტმა ცესკოს წევრობის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ხელახლა გამოაცხადა.<sup>22</sup>

## 3. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა

1-ელ დეკემბერს პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებმა საქალაქო სასამართლოს მიმართეს, კანონმდებლობის შესაბამისად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მისი სასჯელისგან გათავისუფლებისა ან, ალტერნატივის სახით, სასჯელის გადავადების შუამდგომლობით.<sup>23</sup> ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით სახალხო დამცველის მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის 6 დეკემბრის დასკვნით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა „მკვეთრად გაუარესებულია და ფასდება, როგორც მძიმე“, შესაბამისად, „მოსალოდნელი შეუქცევადი გაუარესების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დროული და ძირეული ზომების მიღება“.<sup>24</sup>

<sup>15</sup> „პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე და წევრები ვერ აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 22 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/519709>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>16</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლი

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> „პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის ახალი კანდიდატები წარუდგინა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/520238>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> „მიხეილ სააკაშვილის სასჯელისგან გათავისუფლების მოთხოვნით ადვოკატებმა სასამართლოს მიმართეს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 1-ლი დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/517185>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>24</sup> „კონსილიუმი: სააკაშვილის მდგომარეობა მძიმეა, საჭიროა დროული და ძირეული ზომების მიღება“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 6 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/517815>, განახლებულია: 13.01.2023.



13 დეკემბერს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგვაძემ განაცხადა, რომ სააკაშვილის მხრიდან ვლინდება სიმულაცია და ექიმების საქმიანობისთვის ხელშეშლა.<sup>25</sup> 14 დეკემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა კლინიკა „ვივამედში“ მიხეილ სააკაშვილის სხვადასხვა დროს გადაღებული ვიდეოკადრები გაასაჯაროვა.<sup>26</sup>

14 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილმა შიმშილობა დაიწყო,<sup>27</sup> ექსპრეზიდენტმა შიმშილობის გადანყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და კლინიკა „ვივამედში“ განაცხადეს, რომ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა მისი ჩართვა სასამართლო პროცესზე.<sup>28</sup> სააკაშვილმა შიმშილობა იმავე დღეს შეწყვიტა. მან ეს გადანყვეტილება ევროპარლამენტის წევრების თხოვნით მიიღო.<sup>29</sup>

15 დეკემბერს უკრაინის საგარეო უწყებამ სააკაშვილთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა.<sup>30</sup> 19 დეკემბერს ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანისკენ მოუწოდა.<sup>31</sup> 15 დეკემბერს საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა, რომ ხელისუფლებას აქვს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ექსპრეზიდენტის უფლებების პატივისცემა, რომ მან მიიღოს მისთვის საჭირო სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება და ჰქონდეს წვდომა სამართლიან სასამართლოზე.<sup>32</sup> ამავე დღეს, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ხელისუფლებას სააკაშვილის უფლებების პატივისცემისკენ მოუწოდა.<sup>33</sup> აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა 20 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ დასმულ კითხვას უპასუხა და მისი მკურნალობის მიმართ ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე გაამახვილა ყურადღება.<sup>34</sup>

19 დეკემბერს პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა პოლარიზაციის ხელშემწყობ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიხეილ სააკაშვილის პატიმრობაში ყოფნა დაასახელა.<sup>35</sup>

28 დეკემბერს იუსტიციის მინისტრი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოების წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებთანაც პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მდგომარეობის შესახებ ისაუბრა.<sup>36</sup>

<sup>25</sup> „იუსტიციის მინისტრი: სააკაშვილი 'ხელს უშლიდა' ექიმების და სასამართლოს საქმიანობას“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 13 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518660>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>26</sup> „სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სააკაშვილის ამსახველი ვიდეო გაასაჯაროვა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 14 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518771>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>27</sup> „სასამართლო მოსმენაზე არდაშვების შემდეგ სააკაშვილმა შიმშილობა გამოაცხადა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 14 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518694>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> „საკაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 14 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518754>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>30</sup> „უკრაინის საგარეო უწყება სააკაშვილთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოხატავს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 15 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518979>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>31</sup> „ვოლოდიმირ ზელენსკი ხელისუფლებას სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანისკენ მოუწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 20 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/519434>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>32</sup> „აშშ-ის ელჩი სააკაშვილის უფლებების დაცვაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 15 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518850>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>33</sup> „ევროკავშირის ელჩი ხელისუფლებას სააკაშვილის უფლებების პატივისცემისკენ მოუწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 15 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518878>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>34</sup> „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: ხელისუფლება პასუხისმგებელია სააკაშვილის მკურნალობაზე“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 21 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/519549>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>35</sup> „პრეზიდენტი უკრაინის ომზე, ოკუპაციაზე, ევროკავშირის წევრობასა და სააკაშვილის შესახებ საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 19 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/519164>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>36</sup> „იუსტიციის მინისტრმა დიპლომატებთან მიხეილ სააკაშვილის საკითხი განიხილა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/520460>, განახლებულია: 13.01.2023.

30 დეკემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი დეპუტატებს მიხეილ სააკაშვილის მოსანახულებლად პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებას აღარ მისცემდა.<sup>37</sup> პაპუაშვილის განცხადებით, მან ეს გადაწყვეტილება უსაფრთხოების ზომების გამკაცრების შესახებ იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის 27 დეკემბრის მიმართვის საფუძველზე მიიღო.<sup>38</sup>

28 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ათონელის საპრეზიდენტო რეზიდენციაში ბრიფინგი გამართა მიხეილ სააკაშვილის შეწყალების საინააღმდეგო აქციის საპასუხოდ, რომლის მონაწილეებიც მისი ადმინისტრაციის შენობასთან შეიკრიბნენ. სალომე ზურაბიშვილმა ბოლო დღეებში მის მიმართ მუქარის, ზეწოლისა და შანტაჟის მცდელობებზე ისაუბრა.<sup>39</sup>

სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მის ადმინისტრაციასთან გამართულ აქციას თან ახლდა ბოლო დღეებში გავრცელებული სხვადასხვა ტიპის მიზანმიმართული გზავნილები, რომელთა მიზანიც პრეზიდენტზე ზეწოლა იყო.<sup>40</sup> მისივე თქმით, ადამიანები დღეს მას სხვადასხვა ფორმით ემუქრებიან, რათა არ შეინყალოს მიხეილ სააკაშვილი.<sup>41</sup> ზურაბიშვილის განცხადებით, მიუღებელია პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ ზეწოლა და ბულინგი.<sup>42</sup>

## 4. ნიკა გვარამიას საქმე

7 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში „პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება“ და ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი, რომელიც პოლიტიკური მოტივით უფლებების შეზღუდვას გულისხმობს.<sup>43</sup>

ომბუდსმენის განცხადებითვე, საქმეში მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს წონის არსებული პოლიტიკური მოტივიც, რასაც, სახალხო დამცველის განმარტებით, პოლიტიკოსების განცხადებები, ქვეყანაში არსებული მედიაგარემო, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების შეფასებები, ასევე მართლმსაჯულების არსებითი ხარვეზებით განხორციელება და მსგავს საქმეზე პატიმრობის მხოლოდ ნიკა გვარამიას მიმართ გამოყენება ადასტურებს.<sup>44</sup>

2 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლისა და დირექტორის, ნიკა გვარამიას სააპელაციო საჩივარი და იგი პატიმრობაში დატოვა.<sup>45</sup>

<sup>37</sup> „შალვა პაპუაშვილმა დეპუტატებისთვის სააკაშვილის მოსანახულებლად ნებართვების გაცემა შეაჩერა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/520625>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> „პრეზიდენტი მის მიმართ მუქარის, შანტაჟისა და ზეწოლის მცდელობებზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/520398>, განახლებულია: 13.01.2023.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> „ომბუდსმენის შეფასებით, ნიკა გვარამიას საქმეში „პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2022 წლის 7 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/517999>, განახლებულია: 16.01.2023.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> „სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/513436>, განახლებულია: 17.01.2023.

## 5. ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები

ევროპარლამენტმა 13 დეკემბერს ევროპარლამენტარ სვენ მიკსერის<sup>46</sup> ანგარიში განიხილა, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებას ეხებოდა.<sup>47</sup>

მიკსერმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოსთვის მიცემული 12 რეკომენდაცია დახმარებად უნდა იყოს აღქმული და საქართველოს ხელი-სუფლებამ ეს დახმარება საუკეთესო გზით უნდა გამოიყენოს.<sup>48</sup> მან კომპლექსური რეფორმების სისტემური განხორციელების საჭიროებაზე ისაუბრა, რაც „მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ პროცესში პოლიტიკური ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოებაც ჩაერთვება“.<sup>49</sup>

ევროპარლამენტმა 14 დეკემბერს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ რეზოლუცია მიიღო,<sup>50</sup> რომელიც შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სახალხო დამცველის საკითხი, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემა, პრესის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის, პოლიტიკური დიალოგისა და არჩევნების საკითხები.<sup>51</sup>

### 5.1. საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის განცხადებები ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 17 დეკემბერს ათონელის საპრეზიდენტო სასახლეში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის გამართულ საახალწლო მიღებაზე უკრაინაში მიმდინარე ომზე, ევროკავშირის წევრობაზე, ოკუპაციაზე, პოლარიზაციასა და ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შესახებ ისაუბრა.<sup>52</sup>

პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭება დაასრულებს იმ დებატებსა და კამათს, რომელიც მუდმივად გრძელდებოდა გეოგრაფიულ საკითხთან დაკავშირებით, რომ გეოგრაფიამ უნდა გვიკარნახოს ევროკავშირის საზღვრები.<sup>53</sup> სალომე ზურაბიშვილმა კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოსთვის გაცემული 12 რეკომენდაციის შესრულებაზეც ისაუბრა და ხელისუფლებას მოუწოდა, ქართველი ხალხის არჩევანს მოუსმინოს.<sup>54</sup>

26 დეკემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა ყოველწლიურ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას ევროკავშირთან ურთიერთობაზე ისაუბრა. ღარიბაშვილის განცხადებით, უკრაინას კანდიდატის სტატუსი მიმდინარე ომის გამო მიანიჭეს, მოლდოვის შემთხვევა კი ომთან გათანაბრებულ მდგომარეობად შეაფა-

<sup>46</sup> ევროპარლამენტარი, „სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის“ წევრი.

<sup>47</sup> „ევროპარლამენტმა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებაზე იმსჯელა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 14 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518687>, განახლებულია: 17.01.2023.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> „ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ რეზოლუცია მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 14 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/518785>, განახლებულია: 17.01.2023

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> „პრეზიდენტი უკრაინის ომზე, ოკუპაციაზე, ევროკავშირის წევრობასა და სააკაშვილის შესახებ საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> იქვე.



სეს.<sup>55</sup> პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველო გაცილებით წინ იყო რეფორმების თვალსაზრისით, მოლდოვასა და უკრაინასთან შედარებით.<sup>56</sup> მისი თქმით, მოლოდინი, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებდა, არ გამართლდა.<sup>57</sup>

---

<sup>55</sup> „პრემიერი ევროკავშირის წევრობაზე, უკრაინაში ომსა და შავი ზღვის ელექტროკაბელზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 26 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/519968>, განახლებულია: 17.01.2023.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> იქვე.